აგრესიული სტუმარი

ტაშკენტი. “ფახთაქორის” სტადიონი. 11 ოქტომბერი.

“ფახთაქორი” (ტაშკენტი) – “დინამო” (თბილისი) 0:1 (0:1).

“ფახთაქორი”: ფილატოვი, ივანკოვი, მოგილნი, სეროსტანოვი, ბასოვი, ჟუკოვი, ვარლიუხინი (იაფაროვი), ისაკოვი, ბელოვი, ერემეევი, ხაძიჰანაგისი.

“დინამო”: იმნაძე, ძოძუაშვილი, ჭელიძე, ებრალიძე, ხინჩაგაშვილი, ქორიძე, ასათიანი (გ. მაჩაიძე), მ. მაჩაიძე, ესებუა, გუცაევი, დარასელია.

მსაჯი: ა. ბალიანი)ბაქო).

დუბლიორები – 1:1.

თბილისის დინამოელებმა შეძლეს უაღრესად საჭირო 2 ქულის მოპოვება “ფახთაქორთნ”, რომელიც სახიფათო ზონაშია და ყოველნაირად ცდილობს უმაღლეს ლიგაში ადგილის შენარჩუნებას.

მასპინძლებმა აქტიურად დაიწყეს თამაში და ერემეევს მიეცა კიდეც ანგარიშის გახსნის შესაძლებლობა. მე–10 წუთზე თბილისელებმა საპასუხო იერიში განავითარეს, კარგად ითამაშა გუცაევმა, ორთაბრძოლა მოუგო ბასოვს და ზუსტი დარტყმით აიღო ტაშკენტელთა კარი.

ტერიტორიულ უპირატესობას კარგა ხანს მასპინძლები ფლობდნენ, მაგრამ თბილისელებმა მოაწესრიგეს ურთიერთმოქმედება ნახევარდაცვაში, საიმედოდ ითამაშეს მცველებმაც და, ამას გარდა, თავი გამოიჩინა ახალგაზრდა მეკარე იმნაძემ, რომელმაც რამდენიმე ძნელი ბურთი აიღო.

შესვენების შემდეგ ტაშკენტელებს საკმაო ხანს დიდი ტერიტორიული უპირატესობა ჰქონდათ, დინამოელებმა მათ მაღალი ტემპის განვითარების საშუალება არ მისცეს, შემდეგ კი კონტრიერიშები განავითარეს, რომელთა დროს ხელსაყრელ პოზიციაში აღმოჩნდნენ გუცაევი, დარასელია. შეტევებში ნახევარმცველებიც მონაწილეობდნენ.

თბილისის “დინამომ” ქულაც ჩაიწერა აგრესიული სტუმრის პრიზისთვის ბრძოლაში.

“ლელო”, 12 ოქტომბერი, 1975 წ.